

## შპს „ვექტორი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

### 1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ვექტორი“ ს/კ 405101410 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 29 მაისს და მისი 100% წილის მფლობელია ამირან ბასილია, რომელიც არის ასევე კომპანიის დირექტორი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, დაბა ჩოხატაური, სოფელი გორაბერეკოული.

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სამშენებლო მასალების წარმოება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ამირან ბასილია.

### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო საკითხების მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების გაცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემგომი ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენისას.

ანგარიშგების მომზადებისას სრული ანგარიშების მომზადება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ხარჯების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი სახსრების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ებისა შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს) ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგება და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი. ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდის მიკუთვნებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 3. შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

### 4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს კომპანიის სალაროში, ასევე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს.

### 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის რელიზაციას ახდენს როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

### 6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილ ფულად სახსრებს. გადახდილი ავანსები აღირიცხება მიმდინარედ თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში.

### 7. მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულებაში შედის ყველა ის დანახარჯი (დაბრუნებად გადასახადების გარდა) რაც გაწეული იქნება მარაგების დასაწყობებამდე. კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს, არსებობს თუ არა მარაგის გაუფასურების ინდიკატორები, როდესაც მოხდება მარაგის გამოყენება ან კომპანიიდან გასვლა, ჩამოიწერება საშუალო



შეწონილი მეთოდით და აღიარდება შესაბამისი პერიოდის ხარჯად, მოგება ზარალში ასახვით.

#### 8. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებას აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების ძირითადი საშუალებები-ს შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს: შეძენის ფასსა და უშალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში და აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც პერიოდული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ყოველ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

#### 9. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს საწარმოებისგან მიღებულ ფულად სახსრებს.

#### 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანია საქონლის შეძენას ახორციელებს, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ქვეყნის გარეთ, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებით ასევე კონსიგნაციით.

#### 11. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რა თანხის გადახდაც კომპანიას მოუწევს შესაბამისი საგადახადო ვალდებულებების წარმოშობისას. კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემისას და ასევე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

#### 12. მიღებული სესხები

კომპანიას აღებული აქვს სესხები საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტებისაგან, ეროვნულ ვალუტაში. სესხის პროცენტის გადახდა ხდება ყოველთვიურად და შესაბამისადა ღიარდება როგორც ხარჯი. მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

#### 13. ამონაგები

ამონაგები მოიცავს, როგორც საქონლის მიწოდებიდან, ასევე მომსახურების გაწევიდან მისაღებ ფულად სახსრებს ან სხვა სარგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე რისკი და სარგებელი გადაეცემა საქონლის მყიდველს.

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე და ჩათვლით.

#### 14. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორების და ხელმძღვანელების მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოდ (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშგებო პერიოდის დათავრებიდან 12 თის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთან



დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

#### 15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდო შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალური, სამეურნეო და აიმ ტიპის ხარჯებს რომელთაც აუცლებელია კომპანიის მიმდინარე სამიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

#### 16. ძირითადი სააღრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდისათვის. შეფასებების და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად გამოცდილებასა და ასხვა ფაქტორზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნე მოვლენებსაც. მომავალ პერიოდში მიღებული გამცდოილება შესაძლოა განსხვავებული იყოს შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები რომელთაც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ავალდებულებების საბალანსო ღირებულებები არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

#### 17. ფუნქციონირებადი საწარმოს პრონციპი.

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს რომ ხელმძრავანელობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცი ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იზულებული არ არის ასე რომ მოიქცეს. კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მიმდინარე სასაქონლო მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური აგრემო რომელშიც მას უწევს ოპერირება.

#### 18. განუსაზღვრელი შეფასების ძირითადი წყაროები დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხები არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                 | 31.12.2024 | 01.01.2024 |
|---------------------------------|------------|------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 0          | 0          |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 14 585     | 31 681     |
|                                 | 14 585     | 31 681     |

დირექტორი

ა. ბასილია

### მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                   | 31.12.2024 | 01.01.2024 |
|-----------------------------------|------------|------------|
| მზა პროდუქცია                     | 99 501     | 194 499    |
| ნედლეული და მასალები              | 0          | 0          |
| სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი | 0          | 0          |
|                                   | 99 501     | 194 499    |

**დაქირავეულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულებები**

დაქირავეულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 31.12.2024 | 01.01.2024 |
|------------------------------------|------------|------------|
|                                    | 0          | 0          |

**სასესხო ვალდებულებები**

სასესხო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

|                       | 31.12.2024 | 01.01.2024 |
|-----------------------|------------|------------|
| სასესხო ვალდებულებები | 1 008 721  | 1 108 721  |

**შემოსავალი**

კომპანიის შემოსავლებმა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა **3 711 100** ლარი, რომელიც მიღებული საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან.

**ხარჯები**

საერთოდ და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა **4 371 051** ლარი.



19. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

ა. ბასილია



ამირან ბასილია /



# ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

შპს „ვექტორი“ (ს/კ 405101410)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

აქტივები

| მიმდინარე აქტივები                    | 31.12.2024        | 31.12.2023          | 31.12.2022       |
|---------------------------------------|-------------------|---------------------|------------------|
| ფულადი სახსრები                       | 14 585.2          | 31 681.67           | 28 912           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 836 239.85        | 753 504.8           |                  |
| მომწოდებელზე გადახდილი ავანსები       |                   |                     | 446 898          |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები     | 99 501.34         | 78 039.65           | 194 499          |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ |                   |                     |                  |
| სხვა მიმდინარე აქტივები               |                   |                     |                  |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         | <b>950 326.39</b> | <b>863 226.12</b>   | <b>670 309</b>   |
| გრძელვადიანი აქტივები                 |                   |                     |                  |
| ძირითადი საშუალებები                  | 223 314.57        | 322 308.6           | 460 713          |
| არამატერიალური აქტივები               |                   |                     |                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      | <b>223 314.57</b> | <b>322 308.6</b>    | <b>460 713</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>1 173 641</b>  | <b>1 185 534.72</b> | <b>1 131 022</b> |
| ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი     |                   |                     |                  |
| მოკლევადიანი ვალდებულება              |                   |                     |                  |
| სავაჭრო ვალდებულება                   | 164 919.96        | 76 813.72           |                  |
| გადასახდელი დივიდენდი                 |                   |                     |                  |
| გადასახდელი ხელფასი                   |                   |                     | 22 303           |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულება         | 1 008 721         | 1 108 721           | 1 108 721        |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულება</b>      | <b>1 173 641</b>  | <b>1 185 534.72</b> | <b>1 131 022</b> |
| გრძელვადიანი ვალდებულებები            |                   |                     |                  |
| გრძელვადიანი სესხი                    |                   |                     |                  |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | <b></b>           | <b></b>             | <b></b>          |
| <b>სულ ვალდებულება</b>                | <b></b>           | <b></b>             | <b></b>          |
| საკუთარი კაპიტალი                     | 659 951           | 1 183 762.65        | 56 419           |
| გაუნაწილები მოგება                    | -659 951          | -1 183 762.65       | -56 419          |
| სარეზერვო კაპიტალი                    |                   |                     |                  |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   | <b></b>           | <b></b>             | <b></b>          |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  | <b>1 173 641</b>  | <b>1 185 534.72</b> | <b>1 131 022</b> |

დორექტორი



/ ამირან ბასილია /

# სრული შემოსულობის ანგარიშგება

შპს „ვექტორი“ (ს/კ 405101410)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

| შინაარსი/პერიოდი                     | 31/12/2024 | 31/12/2023    | 31/12/2022 |
|--------------------------------------|------------|---------------|------------|
| წმინდა გაყიდვები                     | 3 711 100  | 4081703.78    | 4 577 314  |
| რპთ                                  | 4 371 051  | 3 864 357.36  | 4 902 012  |
| <u>საერთო მოგება</u>                 | 659 951    | 217 346       |            |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი      |            |               |            |
| შრომის ანაზღაურება                   |            |               |            |
| საოფისე ქირა                         | 588 243.01 | 611197.51     | 456 887    |
| კომუნიკაციის ხარჯები                 |            |               |            |
| პროცენტის ხარჯი                      |            |               |            |
| ცვეთა და ამორტიზაცია                 |            | 1967          | 1770       |
| transportirebis xarji                |            |               |            |
| სხვა საერთო ხარჯები                  |            |               |            |
| <u>სულ</u>                           | 856 732.36 | 787 944.34    | 404 586    |
| არასაოპერაციო შემოსავალი             |            |               |            |
| არასაოპერაციო შემოსავალი             |            |               |            |
| <u>სულ</u>                           |            |               |            |
| არასაოპერაციო ხარჯი                  |            |               |            |
| არასაოპერაციო ხარჯი                  |            |               |            |
| <u>სულ</u>                           |            |               |            |
| <u>მოგება დაბეგვრამდე</u>            |            |               |            |
| მოგების გადასახადი                   |            |               |            |
| <u>წმინდა მოგება</u>                 | 0          | 0             | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში |            |               |            |
| დივიდენდი                            | 659 951    | 1 183 762.65  | 372 547    |
| გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს      | 0          | 0             | 0          |
|                                      | -659 951   | -1 183 762.65 | -372 547   |

დორექტორი



ამირან ბასილია /



ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     |            |            |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები |            |            |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       |            |            |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     |            |            |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 |            |            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 14 585.2   | 31 681     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 14 585.2   | 31 681     |

დირექტორი



/ამირან ბასილია

